6. დინამო — ცხუმი 3-1
ბაგრა — იმერი 4-0

აღმოსავლეთი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
ამერი2	17	15	1	1	46-14	46
ბაგრა	17	13	2	2	34-5	41
სიონი2	17	13	1	3	41-16	40
დინამო (ხაშ)	17	12	2	3	48-17	38
ნორჩ.დინამო	17	8	5	4	26-22	29
სპარტა	17	8	3	6	23-27	27
ცხუმი	17	7	3	7	16-18	24
თბილისი3	17	6	4	7	21-19	22
რუსთავი2	17	5	3	9	15-31	18
კახეთი2	17	5	2	10	26-36	17
იმედი	17	4	4	9	20-29	16
აღვანი	17	3	7	7	11-28	16
დერეჯი	17	4	3	10	19-39	15
თბილისი	17	4	1	12	26-38	13
ნორჩ.დინამო2	17	3	4	10	21-33	13
ერთობა	17	2	3	12	17-38	9

დასავლეთი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
სენაკური	18	14	1	3	30-12	43
მეშახტე	18	12	3	3	40-16	39
სამგურალი	18	12	3	3	33-14	39
დინამო2 (ბთ)	17	8	4	5	24-18	28
შუქურა	18	7	6	5	19-18	27
სამტრედია	18	6	9	3	25-17	27
მერცხალი	17	7	5	5	25-18	26
კოლხეთი2	18	7	5	6	27-21	26
სულორი	18	7	3	8	29-29	24
იმერეთი	18	6	6	6	20-19	24
კოლხეთი (ხ)	18	6	5	7	19-17	23
სკვერი	18	6	5	7	33-29	23
6.დინამო (ქ)	17	5	2	10	13-27	17
სალხინო	18	4	5	9	21-31	17
ზესტაფონი2	17	4	4	9	22-22	16
სამეგრელო	18	4	2	12	22-47	14
ლუკა	18	1	2	15	20-58	5

პირველი ლიგა, XVIII ტური

ვიტკოვრია — საგარეჯო 0-1
გურია — ჩიხურა 1-1
კახეთი — ამერი 0-1
ოლიმპი — ლოკომოტივი2 0-2
ბორჯომი — სპარტაკი 2-0
მილანი — მერანი — დინამო2 2-1
რუსთავი — მაღაროელი 4-0
ცხინვალი — იგვრია (18.03)

ბორჯომი	18	15	1	2	49-20	46
ამერი	18	13	1	4	49-8	40
ვიტ-ჯორჯია	18	12	3	3	29-11	39
სპარტაკი	18	11	6	1	32-17	39
კახეთი	18	11	2	5	30-22	35
დინამო2	18	9	1	8	43-29	28
ცხინვალი	17	8	3	6	23-20	27
იგვრია	17	6	5	6	16-20	23
ლოკომოტივი2	18	6	4	8	23-25	22
გურია	18	6	4	8	18-27	22
ჩიხურა	18	6	4	8	17-21	22
რუსთავი	18	5	2	11	23-32	17
მილანი-მერანი	18	5	1	12	21-33	16
საგარეჯო	18	3	4	11	17-42	13
ოლიმპი	18	3	4	11	15-32	13
მაღაროელი	18	0	3	15	8-54	3

გამოთხოვება ქართული ფეხბურთის მოკიაფეთან

პირველი გვერდიდან

1937 წელს, საბჭოთა კავშირში ბასკი ფეხბურთელების ტურმრობისას გაიოზმა საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა და ბასკებზე ურიგო შთაბეჭდილება არ დატოვებია.

1937 წლიდან 1948 წლის ჩათვლით თბილისის „დინამოს" ერთერთი წამყვანი ფეხბურთელია. საკავშირო ჩემპიონატებში 135 მატჩი ჩატარა და 67 გოლი გაიტანა. სამი ჰეთრიკი აქვს შესრულებული — სამ მატჩში 9 გოლი გაიტანა.

1939 წლის საკავშირო ჩემპიონატის პირველი მატჩი თბილისში გაიმართა ადგილობრივ და მოსკოველ დინამოელებს შორის. ეს იყო თანაკლუბელების შეკვრა ოფიციალური შეხვედრა, მანამდე სამი მატჩი ფრედ დათავდა, ორი მოსკოველებმა მოიგეს. მე-19 წუთზე მოსკოვის დინამოელებმა ელვისებური კომბინაცია გაითამაშეს და სემიოჩკინმა უძლეურეს დარტყმით ანგარიში გახსნა.

28-ე წუთზე ბორის პაიჭაძე დრიბლინგით გასცდა მოსკოველთა მცველებს. მარცხენა ფრთიდან, მიუხედავად მოსკოველთა კარს და ზუსტი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა 1-1. პირველი ტაიმი სრულდებოდა, როცა გაიოზ ჯეჯელავამ უბრწყინვალესი დარტყმით წინ გაიყვანა თავისი გუნდი. მეორე ნახევარი თბილისის დინამოელთა დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა, რაც მოსკოველთა კარის ციდე ორჯერ წარმატებით დალაშქრაში აისახა. ორივე ბურთი გაიოზ ჯეჯელავამ გაიტანა. ასე რომ, 1939 წლის ჩემპიონატის პირველი კალენდარული შეხვედრა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა საკმაოდ დამაჯერებლად 4-1 მოუგეს. სწორედ ამ მატჩში შესრულა პირველად ჰეთ-თრიკი გაიოზ ჯეჯელავამ.

არანაკლებ საინტერესო, დაძაბული და დასამახსოვრებელი მატჩი გაიმართა იმავე წლის პირველობის მეორე წრეში თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის ცდკა-ს შორის. როდესაც ანგარიში იყო 4-4 (მანამდე თბილისელები 1-4 ავებდნენ) და თამაშის დრო იწურებოდა, გაიოზ ჯეჯელავამ ადგილიდან ჩაროთ მაღალი სიჩქარე, ფინტებით გაცდა მეტოქეებს და გამარჯვების გოლი გაიტანა მოსკოველთა კარში. ამ გამარჯვებით ჩვენმა „დინამომ" ქულით გაუსწრო ცდკა-ს და მეორე ადგილი დაიკავა საკავშირო ჩემპიონატში.

მეორე ჰეთ-თრიკი გაიოზ ჯეჯელავამ შეასრულა 1940 წლის საკავშირო ჩემპიონატის მესამე ტურში, როდესაც თბილისის „დინამომ" დიდი ანგარიშით დაამარცხა ლენინგრადელი თანაკლუბელები — 5-0. სამი ბურთი გ. ჯეჯელავას ანგარიშზეა. იმავე წელს თბილისელებმა მეორე საჩარიზო ადგილი დაიკავეს. ისინი მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, მოსკოვის „დინამოს"...

60 წლის წინათ თბილისის „დინამო" პირველი საზღვარგარეთული ტურნეს ჩასატარებლად ირანში გაემგზავრა. ირანის მეორე ნაკრებთან 1944 წლის 20 ოქტომბერს „დინამომ" გაიმარჯვა 5-1. ორ-ორი ბურთი გაიტანეს ა. ლოღობერიძემ და ბ. პაიჭაძემ, ხოლო ერთი გ. ჯეჯელავამ. მეორე შეხვედრა თბილისელებმა თეირანის ნაკრებთან გამართეს და კვლავ დიდი ანგარიშით მოიგეს 4-0. ორი ბურთი ბ. პაიჭაძემ გაიტანა, თითო ვ. პანიაგუას და გ. ჯეჯელავამ. დავიწყნი, რომ მეორე შეხვედრაში ქართველებმა, ფაქტობრივად, 7-ჯერ აიღეს მეტოქის კარი, მაგრამ რატომღაც ირანელმა მსაჯმა მხოლოდ 4 ბურთი ჩათვალა. სხვათა შორის, თბილისელებს ორივე შეხვედრა ირანის ნაკრებთან მოუწია, რომლის მწვრთნელი ეს მსაჯი აღმოჩნდა. ქართველი ფეხბურთელების პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე მან გულწრფელად აღიარა თავისი არაობიექტურობა, რომ ის ირანის ნაკრების მწვრთნელია და თუ ის ქველ ბერის ჩათვლიდა, მაშინ მას ამ პოსტიდან მოხსნიდნენ.

მესამე შეხვედრა თავრიზის ნაკრებთან მოიგეს დინამოელებმა — 7-1. ამრიგად, ირანში ჩატარებული სამი შეხვედრა საერთო ანგარიშით 16-2 დასრულდა ქართველთა სასარგებლოდ.

1945 წლის დეკემბერში თბილისელებმა რუმინეთში სამი საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ჩაატარეს. პირველი მატჩი დინამოელებმა 2-1 მოიგეს, მეორე — 10-5. გაიოზმა 5 ბურთი გაიტანა. მესამე, უკანასკნელ შეხვედრაში ისევ ქართველებმა გაიმარჯვეს 5-0. ერთი გაიტანა გ. ჯეჯელავამ. ასე რომ, ქართველმა ფეხბურთელებმა რუმინეთში სამი საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარეს და სამივე მოიგეს ბურთების საერთო შეფარდებით — 17-6. აქედან გ. ჯეჯელავას პირად ანგარიშზე 6 ბურთი მოდიოდა. სწორედ აქ მონათლეს ბ. პაიჭაძე „ფეხბურთის კარუზოდ". მაღალი შეფასება მისცა პრესამ გაიოზ ჯეჯელავას მაღალტექნიკურ და შედეგიან თამაშს.

გაიოზ ჯეჯელავამ პირველ საზღვარგარეთულ შეხვედრებს შესანიშნავი წლები უძღვნა საოცარით — „ქართველი ფეხბურთელები ირანსა და რუმინეთში"...

1947 წელს თბილისელებმა საკავშირო ჩემპიონატში კვლავ მესამე ადგილი დაიკავეს. მაგრამ საფეხბურთო სეზონის შუაში მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, იმავე წლის 8 იულის ქართველი ფეხბურთელები საკავშირო თასის მეოთხედფინალში მოსკოვში შეხვდნენ ადგილობრივ ტორპედოელებს. თამაშის მე-10 წუთზე გაიოზ ჯეჯელავამ გვერდი აუარა მოწინააღმდეგე გუნდის მცველებს და ბურთი მოსკოველთა კარში გაიტანა. 1-0 თბილისელთა სასარგებლოდ. სულ მალე მოსკოველმა ე. პანფილოვმა ანგარიში გაათანაბრა 1-1. დამატებით დროში გადამწყვეტი ბურთი თბილისელთა კარში ქარაფუშა გაიტანა და „ტორპედომ" თამაში მოიგო 2-1. ამ მატჩში ბ. პაიჭაძემ სერიოზული ტრავმა მიიღო და ხანგრძლივი დროით მკურნალობდა. მის ნაცვლად „დინამოს" კაპიტანი გაიოზ ჯეჯელავა იყო.

1946 წელს გაიოზ ჯეჯელავას მინიჭა საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

აი, როგორ ახასიათებდა ანდრო ქორდანია გაიოზ ჯეჯელავას: „... გარეგნობებიდან მინდა დავასახელო გ. ჯეჯელავა, უნივერსალი ფეხბურთელი, ს მეტრვეულამდე მას მარჭვნა ფრთაზე ბადალი არ ჰყავდა".

არ შეიძლება არ აღინიშნოს გაიოზ ჯეჯელავას სამწვრთნელო მოღვაწეობა. 1950 წელს მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო-სპორტო ძალების სარდლის ვასილ სტალინის უშუალო ინიციატივით და გადაწყვეტილებით გაიოზ ჯეჯელავა დაინიშნა მოსკოვის ვასის უფროს მწვრთნელად.

1950 წლის საკავშირო ჩემპიონატში 19 გუნდს შორის ვასი-მა 45 ქულით მეოთხე საპატიო ადგილი მოიპოვა, რაც ყველაზე დიდ წარმატებად ითვლებოდა გუნდის საფეხბურთო ისტორიაში.

1951 წელს ვასი-ს სეზონად გამოვიდა საკავშირო ჩემპიონატში და მე-10 ადგილი დაიკავა. მიუხედავად ამისა, გაიოზ ჯეჯელავას გუნდი აღმაფრენით გამოვიდა იმავე წლის თასის გათამაშებაში. ვასი-მა მხოლოდ ძალზე დაძაბული ბრძოლის შემდეგ ნახევარფინალში წააგო 0-1 მრაბსნო მეტოქესთან, — ცდკა-სთან, რომელიც შემდგომში საკავშირო თასის მფლობელი გახდა.

გაიოზ ჯეჯელავას წმოსულიდან ერთი წლის შემდეგ ვასი-ი დაიშალა და ფეხბურთის ისტორიის კუთხეშიც გახდა.

გ. ჯეჯელავა ორი წლის განმავლობაში იყო თბილისის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი, მისი სამწვრთნელო მოღვაწეობის უმაღლეს შეფასებას და საყოველთაო აღიარებას იმსახურებს ის, რომ 1956 წელს საქართველოს ნაკრებმა, რომელიც მთლიანად „დინამოს" ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული, საბჭოთა კავშირის სპარტაკიადის ვერცხლის მედლები მოიპოვა...

ბუხამ ჩხიკვაძე.

ბავშვთა ფეხბურთი

„ბევრჩი"

პაპარეგის დიდი გურინრი თელეთში

„ხორჩი დინამო"

ერონული მოძრაობის აღმავლობის წლებში დაღუპული ახალგაზრდა ფეხბურთელის, საქართველოსა და სსრ კავშირის მოსწავლეთა ნაკრების წევრის გოჩა (გურულო) გურულიშვილის სახელობის შავნაბადა – თელეთის ცენტრალურმა სტადიონმა ამ დღეებში 1992 წლიანთა საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირს უმასპინძლა „მეგობრობის თასზე".

მონაწილე გუნდები ოთხ ჯგუფად დაიყო. ნახევარფინალში გადაიწყნენ მხოლოდ გამარჯვებული გუნდები. უსენი აღმოჩნენენ ბაქოს „ნეფთჩი", თბილისის „დინამო" I და „მერანი", "შავნაბადა – თელეთი" I. ბაქოელებმა 5-1 მოუგეს „მერანს", „დინამო "I-მა ადვობა მასპინძლებს 3-1.

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ძირითადი დრო „მერანსა" (მწვრთნელი გიორგი ფარფალია) და "შავნაბადა – თელეთის" (მწვრთნელი ირაკლი მურშველაძე) გუნდებს შორის დასრულდა ფრედ 2-2. პენალტების სერია კი უფრო ვიდრე ტრაგედიად გამოიცნენ თბილისელებმა.

„მერანი"

„შავნაბადა-თელეთი"

ფინალური მატჩი, რომელსაც აზარტისა და ელჩის წარმომავგენებები, ქვემო ქართლის გუბერნატორი მერაბ მელქიშვილი, რაინის გამგებელი სერგეი ნადარეიშვილი და სარეზულის თავმჯდომარე ვეთ მახნაშვილი ესწრებოდნენ, დაძაბულად წარმართა. „ნორჩ დინამო "I-თან პაექრობაში (მწვრთნელები გია ხიზანიშვილი, გოჩა გურგენაშვილი) 2-1 გაიმარჯვეს სტრმრებმა. ტურნირის მაღალ დონეზე ატარებაში დიდი წვლილი შეიტანა გამცილდელმა ორგანიზატორმა, ად გილობრივი სპორტსკოლის დირექტორმა გივი ბურჯანაძემ.

საუკეთესო მეკარედ დასახელდა გიორგი ასლამაზიშვილი, მცველებად – თორნიკე გაგნიძე (ორივე – „თელეთი – შავნაბადა") და ირაკლი შუკაკიძე („მერანი") ბომბარდირად – ტურალ ისკანდაროვი, ტექნიკურ მოთამაშედ – ასკარ ჯაბიევი („ნეფთჩი"), პერსპექტიულ ფეხბურთელებად – თორნიკე ჭკუჭავაძე და ნიკა ბოჭორიშვილი (ორივე – „მერანი"), ლამაზი გოლის გამტანად – მურთაზ მურაზაძე („ნეფთჩი"), საუკეთესო ფეხბურთელად – დათო ჩუბინიძე, თავდასხმელად – უზა შენგელაია (ორივე – „მერანი"), ყველაზე უმცროსი ფეხბურთელის პრიზი გადაეცა თორნიკე ლეშკაშელს („თელეთი – შავნაბადა").

გოჩა (გურულო) გურულიშვილის სახელობის თასი გადაეცა „ნორჩი დინამოელის" ფეხბურთელს №10 მაისურით გიორგი ილურიძეს.

ბია ბურჯული. ფოტოები რობერტ ბაგოთანის.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ოლეგ ბლოხინი უკრაინის ნაკრებიდან წავიდა

„თუ ჩემი პროფესიული საქმიანობა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ამ სხვა დეპუტატებისა, რომლებიც ეწევიან სამეცნიერო მუშაობას სხვადასხვა უნივერსიტეტში, დღე, უკრაინის ნაკრებს უხელმძღვანელოს ამას, ვისაც ამის უფლება აქვს. გული მტკივა, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს," – განაცხადა ოლეგ ბლოხინმა.

ბნელი თქმა იმისა, თუ რა გავლენას მოახდენს ბლოხინის წასვლა მეორე შესარჩევი ჯგუფის ლიდერზე – უკრაინის ნაკრებზე, რომელიც 30 მარტს დანიის ნაკრებს კიევში მასპინძლობს.

ბუშუი პრესკონფერენცია გამართა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა, რომელმაც განაცხადა: „ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა ოლეგ ბლოხინი კვლავ დაუბრუნდეს უკრაინის ნაკრებს. მისი ხელმძღვანელობით უკრაინის ნაკრებმა შესანიშნავად დაიწყო მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი და ჯგუფის ერთპირველად ლიდერია. მე ვერ ვხედავ ბლოხინის შემცვლელს".

ფრანც ბეკენბაუერი: „გერმანიის ნაკრები შსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია"

ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის ფრანც ბეკენბაუერს წარდგენა არ სჭირდება. გერმანული ფეხბურთის ლეგენდის თავის კარიერაში ბევრი ტიტული აქვს მოპოვებული. დღეს იგი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა. გთავაზობთ ფრანც ბეკენბაუერის მიერ „სპორტ-ექსპრესისათვის" მიცემულ ინტერვიუს.

ᲓᲦᲔᲑᲘ: ფრანც ბეკენბაუერი

დაბადება 1945 წლის 11 სექტემბერს მიუნხენში. თამაშობდა მიუნხენის „ბაიერნში" (1958-1977 წწ.), ნიუიორკის „კოსმოსში" (1977-1980, 1983), „ჰამბურგში" (1980-1982).

გერმანიის ფეხბურთიდან რესპუბლიკის ნაკრების ღირსება 103 მატჩში დაიცვა და 14 გოლი გაიტანა. მუნდიალებში 425 მატჩი აქვს ჩატარებული (44 გოლი), ხოლო ევროთასეულებში — 76 (6 გოლი). მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონი, ვიცე-ჩალეს (1966) და ბრინჯაოს (1970) პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი (1972). ვიცე-ევროპის პრიზიორი (1976), ევროპის ჭაბუკების ჩემპიონთა თასის სამჯერ მფლობელი (1974, 1975, 1976), მოიპოვა ალერეთე თასების მფლობელთა თასი (1967), საკონტინენტთაშორისო თასი (1976). გერმანიის ხუთჯერ ჩემპიონი (1969, 1972, 1973, 1974, 1982), ჭაბუკის თასის ოთხჯერ მფლობელი (1966, 1967, 1969, 1971), აშშ-ს ჩემპიონი (1977).

ოთხჯერ დასახელებულ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად (1972, 1976), აღიარეს გერმანიის მეოცე საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელად.

1984-1990 წლებში **წვრთნიდა** გერმანიის ნაკრებს, რომელთან ერთად 1990 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა გარდა ამისა, იყო მიუნხენის „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი, 1994 წლიდან კი კლუბის პრეზიდენტია.

* * *

◆ *როდის გრძნობდით მეტ პასუხისმგებლობას: 1974 წელს, როცა, როგორც თამაშობდა, მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგეთ; 1990 წელს, — როცა იგივე 33 წლიდან მიხელიით მწვრთნელის როლში, თუ ახლა უფრო მეტს გრძნობთ, როგორც მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე?*

— ყველაზე რთული ამოცანა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაა. ცხოვრებაში ერთხელ არის შანსი, უმაჯობესო ასეთ დიდ სფეხბურთო ღონისძიებას. ძლიერი გუნდის მოთამაშეებსა და მწვრთნელს, თუ ისინი ვერ გამპარჟვებენ ერთ ჩემპიონატში, აქვთ შანსი, წარმატებას ოთხი წლის შემდეგ მიაღწიონ. ოთხ წელს განმავლობაში მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა ორჯერ არარაციონალია.

◆ *მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ განაცხადეთ, რომ გერმანიის ნაკრები 2006 წელს „საკუთარ კედლებში" გახდება ევროპის ჩემპიონი. ისევ ამ პოზიციაზე რჩებით?*

— მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ფინალში გერმანიის ნაკრები ბრაზილიის გუნდთან დამარცხდა. მას შემდეგ ჩვენი ჭაბუკის ნაკრებში ბევრი რამ შეიცვალა, ევროპის 2004 წლის ჩემპიონატიც გავიარეთ, მოვიდა ახალი მწვრთნელი — იურგენ კლინსმანი... დღეს ასე ვიტყოდი: გერმანიის ნაკრები ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია.

◆ *ფეხბურთით გერმანიაში — უფრო მეტია, ვიდრე სპორტი. თუ გერმანიის ნაკრები ვერ გახდება მსოფლიო ჩემპიონი ეს, ალბათ, ამ გუნდის გულშემატკივრებისათვის ტრაგედია იქნება.*

— რა თქმა უნდა. „საკუთარ კედლებში" მოთამაშე გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების მეტი შანსი აქვს და ეს გერმანიის ნაკრებსა უნდა გამოიყენოს. ყოველ შემთხვევაში, მსოფლიო ჩემპიონატი, — ეს არის დიდი ზეიმი მასპინძელი ქვეყნისათვის.

ჩვენ ვიღაცნით იმისათვის, რომ მსოფლიო ჩემპიონატი იყოს არა მხოლოდ საფეხბურთო, არამედ სხვადასხვა ეროვნების ხალხთა მეგობრობის ზეიმი.

◆ *რით იქნება განსხვავებული მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატი თავისი წინამორბედისაგან?*

— ძნელია წინასწარ თქმა, თუ რა იქნება 2006 წლის ზაფხულში. ვიმედოვნებ, რომ უფრო ქვეყნიური ჩემპიონატი იქნება.

◆ *ორთოდე სიტყვა გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელზე — იურგენ კლინსმანზე.*

— კლინსმანი ბუნებულოგიაში აღიზარდა, გერმანიის ნაკრებში წარმატებული თამაშით გაითქვა სახელი. შემდეგ საწვრთნაგარეთ მოღუნვრობით დიდი გამოცდილება შეიძინა. მას შემდეგ, რაც იურგენ გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა, გუნდი ბევრად უკეთესად თამაშდა, ვიმედოვნებ, რომ კლინსმანი და მისი შვილიერები გერმანელ გულშემატკივრებს გაახარებენ.

◆ *ბოლო პერიოდში, მათუსალეხი და ფიოლეტოვის ეპოქის დასრულებას შემდეგ გერმანიაში იცლეს სუპერვარსკვლავებმა. თქვენი აზრით, ახალგაზრდა თაობიდან თუ არიან ისეთები, რომლებიც მომავალში შეიძლება მაღალი კლასის მოთამაშეები გახდნენ?*

— არიან, მაგრამ მათი დასახელებისაგან თავს შევიკავებ.

◆ *რა გეგმები გაქვთ 2006 წლის შემდეგ. ზოგიერთი თქვენში ფიფას პრეზიდენტს ხედავენ...*

— 2006 წლის შემდეგ მეტ დროს საკუთარ ოჯახს და მეგობრებს დავუთმობ, ავიკიაკებ, ვიცეკი მოებნები და ბუნებით დავტკბები...

ბეკჰემი საფეხბურთო აკადემიას ხსნის

მადრიდის „რეალისა" და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი დევიდ ბეკჰემი მომდინარე წლის ზაფხულში აპირებს, ლონდონში გახსნას საკუთარი საფეხბურთო აკადემია. ამ სასწავლებლის ოფიციალური სახელწოდება ასეთი იქნება: „დევიდ ბეკჰემის საფეხბურთო აკადემია", რომლის ინფრასტრუქტურაში შევა ორი საფეხბურთო მოედანი, ერთი დარბაზი, საცალო ოთახები თეორიული მეცადინეობებისთვის, აგრეთვე, სასადილო. სკოლა თვდაპირველად 15 ათას ბავშვს მიიღებს 8-დან 15 წლის ასაკში, რომელთაგან 10 ათასი უფასოდ ისწავლის.

ევროპელებისან საუბარში ბეკჰემმა აღნიშნა, რომ თავის დროზე „ბობი ჩარლტონის საფეხბურთო აკადემია" დიდმარა მას „არასულად" გახდომაში. ამიტომ, ახლა თავად დევიდ სურს, რომ საკუთარ აკადემიაში გამოზარდოს ფეხბურთის ნამდვილი ვარსკვლავები.

„მე ბავშვობაში ვოცნებობდი, ვყოფილიყავი პროფესიონალი ფეხბურთელი და ამის მიუღწევ კიდეც. ახლა შემიძლია, მეც გავხსნა საფეხბურთო აკადემია. ფეხბურთში გავიზარდე და მსურს ვიცი, თუ როგორ ზრდის სპორტის ეს სახეობა ბავშვებს. ისინი ამ აკადემიაში სიამოვნებით ისწავლიან, მათ შესანიშნავი პირობები ექნებათ იმისათვის, რომ თავიანთი საფეხბურთო ნიჭი გამოავლინონ," — ამბობს დევიდ ბეკჰემი.

ევროპელებთან შეხვედრაზე დევიდ ბეკჰემმა გვერდი ვერ აუარა მადრიდის „რეალის" თემას.

„ძნელია იმის გაცნობიერება, რომ მომდინარე სეზონში ერთი ტიტულის მოგებაც არ შეგეძლოთ. მსგავსი სიტუაცია ადრეც მქონია, როცა „მანჩესტერ უნაიტედის" შემადგენლობაში ვირიცხებოდი. რას ვიზამთ? ზოგჯერ ასეც ხდება... ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მუშაობა. უნდა მოვიხედოთ თავს უკან და ვეცადოთ, რომ ეს ნეგატიური მომენტი ჩვენთვის ბოლო აღმოჩნდეს. ჩვენ ვიცით, რომ ეს ასე არ იქნება. ჩვენ ვიცით, რომ ეს ასე არ იქნება. ჩვენ ვიცით, რომ ეს ასე არ იქნება

NBA

„მილუოკა" პოიგო...



ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატში მორიგი მატჩები გაიმართა.

„საკამებლო" საკუთარ მოედანზე უმასპინძლა „ორლანდოს" და მეტოქე 105:94 დაამარცხა. მასპინძლთა რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო სტოიაკოვიჩი, რომელმაც 27 ქულა მოაგროვა. „ორლანდოს" შემადგენლობაში კი სიუეთსონი იყო ფრენსისი (25 ქულა).

„სიეტლმა" სტუმრად 6 ქულის სხვაობით — 99:93 მოუყრა „ჩიკაგოს", ხოლო „მაიამიმ" 2 ქულით აჯობა „ნიუ-იორკს" — 98:96.

„დალასი" საკუთარ მოედანზე 91:100 დამარცხდა „მინესოტასთან", რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის კვენ გარნეტს, რომელმაც 25 ქულა შეიძინა სტუმართა გუნდს. მასპინძლებს დირკ ნოვიცკის 21-ბ ქულამაც ვერ უშველა. კობი ბრაიანტის „ლეიკერსმა" მარცხი იწვნია სტუმრად „ფილადელფიასთან" — 91:108.

გუშინ ზაზა ფაჩულია „მილუოკის" საცდელ მოედანზე 96:88 დაამარცხა „ლეგიონი". „ინდიანამ" წარმატების არავითარი შანსი არ დატოვა „იუტას" — 103:84. მასპინძლთა რიგებში ბრწყინავდა ჟერმენი, რომლის ანგარიშზე 28 ქულაა.

სხვა მატჩები ასე დასრულდა: „ბოსტონი" — „ტორონტო" 110:109, „ატლანტა" — „ვაშინგტონი" 93:122, „დეტროიტი" — „სიეტლი" 102:95, „ნიუ ჯერსი" — „ჩიკაგო" 100:84, „ნიუ ორლეანი" — „მემფისი" 82:88, „დენვერი" — „მარლოს" 120:101, „სან ანტონიო" — „მინესოტა" 89:73, „ლოს-ანჯელესი" — „ორლანდო" 110:102.

ცსკა-მ ფენომენალური სერია შეწყვიტა

ევროლიგა-ჯულბის ტურნირის – „ტოპ-16"-ის მეოთხე ტურში მოსკოვის ცსკა-ს კალათბურთელები საკუთარ მოედანზე ესპანეთის „ბარსელონასთან" დამარცხდნენ – 68:79. საინტერესოა, რომ ეს იყო ცსკა-ს პირველი მარცხი 2004-2005 წლების სეზონში. გამარჯვებათა ფენომენალური სერია 42 მატჩის განმავლობაში გრძელდებოდა და მხოლოდ „ბარსელონამ" შეძლო მისი შეწყვეტა. ამ 42 მატჩიდან 17 არმიელების ევროლიგის ტურნირში მოიგეს.

„ბარსელონასთან" გამარჯვების შემთხვევაში რუსები ვიღაშედ იფორმებდნენ მეოთხედფინალის საგზურს... ასე რომ, ზეიმი ცოტა მოგვიანებით შედგება.

ფიბას „ყველა ვარსკვლავთა" მაგჩი

14 აპრილს, ნიცა-ზაში შედგება ფიბას „ყველა ვარსკვლავთა" მატჩი, სადაც ევრომანეთს შეხვდებიან ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოს ნაკრები გუნდები. თითოეულ გუნდში 12 კალათბურთელი იქნება წარმოდგენილი.

ამ 24 კალათბურთელიდან 20 მათგანი ინტერნეტით გამოკითხვის შედეგების მიხედვით შეირჩევა, დანარჩენ ოთხ მოთამაშეს კი ფიბა დაასახელებს. ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოს სრული შემადგენლობები 1 აპრილს გახდება ცნობილი.

თვით მატჩი ფიბას წესებით ჩატარდება. ოთხ ათწუთიან პერიოდად. გარდა ამისა, გაიმართება სამქულიანი სროლის კონკურსი.

რონალდო – ბიზნესმენი

მადრიდის „რეალის" ბრაზილიელმა თავდამსხმელმა რონალდომ გადაწყვიტა, გახდეს „ა1 გრან-პრის" კლასის მანქანების გუნდის მფლობელი. „ა1 გრან-პრის" ტურნირი წელს პირველად ჩატარდება. სტარტი სეზონზე დანიშნული. „ჩვენ, ბრაზილიელებმა უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ ფეხბურთში და გვსურს, ოგივე შედეგები ავტოსპორტშიც გვქონდეს".

საინტერესოა, რომ ასევე საავტომობილო კლუბების მფლობელებად გახდნილ სუპერვარსკვლავებს შორის ფიგუ და მადრიდის „რეალის" ყოფილ მწვრთნელს – კარლოს კერატზე.

მწვრთნელს კარისკენ მიჰქითა

ბრაზილიელმა ჩოგბურთელმა გუსტავო კუერტენმა უარი თქვა მწვრთნელის — ლარა ჰასოსის სამსახურზე. ისინი ერთად 15 წლის განმავლობაში მუშაობდნენ.

„ეს 15 წელიწადი ჩემთვის მრავალი წარმატების პერიოდი იყო. მადლობელი ვარ მწვრთნელის, რომელიც ამ ხნის განმავლობაში გვერდით მედგა", — ამბობს „როლან გაროსის" სამჯერ გამარჯვებული. სულ ჰასოსთან ერთად კუერტენმა ერთეულთა თანრიგში 20 ტიტული მოიპოვა, ხოლო წყილთა თანრიგში — 8.

დღესისთვის ბრაზილიელი ჩოგბურთელი ატპ-ს რეიტინგში 86-ე ადგილზეა, მაგრამ ის არ აპირებს კარიერის დასრულებას, — კუერტენი ჯერ 28 წლისაა. იგი აპირებს აპირებს დიდ ჩოგბურთში დაბრუნებას ტრავმით გამოწვეული იძულებითი ხანგრძლივი შესვენების შემდეგ. მას განზრახული აქვს დაიბრუნოს დიდი ხნის წინ დაკარგული პირველი ადგილი ატპ-ს რეიტინგში.

კლიჩკო და რახმანი 18 ივნისს იბრძოლებენ

ცნობილი გახდა, რომ ვბც-ს მსოფლიო ჩემპიონს ვიტალი კლიჩკოს და ამავე რანგისანს შეხვდება, რომელიც 30 აპრილს უნდა გამართულიყო, 18 ივნისს შედგება.

შეგახსენებთ, რომ ორთაბრძოლის გადატანა გამოწვეული უკრაინელი მოწინააღმდეგე პიოტრ ჩრავჭის, რომლის შესახებაც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გიწერდით.

შეხვედრის თარიღის შეცვლა სულაც არ ადარდებს პასიან რახმანს. „ამ ამბავს ვფიქრობ, თუ როგორ უნდა ჩავაგდო ნოკაუტში ვიტალი კლიჩკო", – განაცხადა რახმანმა.

ფიშერმა ყველას აჯობა

მიმდინარეობს ბიატლონში მსოფლიო თასის გათამაშების დასკვნითი ეტაპი, რომელიც 29 ქვეყნის სპორტსმენი მონაწილეობს.

ვიდთა შორის 10-კილომეტრიანი სპრინტი მოიგო გერმანელმა სვენ ფიშერმა. მისი შედეგი 26 წუთი და 53,3 წამი. მეორე ადგილზე გავიდა ბელარუსი ოლეგ რიეჩკოვი, ხოლო ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა ნორვეგიელი პალკარ ბიანვიდალი. ლეგენდარულმა ოლე-ეინარ ბიორნდალენმა მეოთხე შედეგი აჩვენა.

ქალთა შორის საკვალიფიკაციო ეტაპზე გერმანელი კატრინ ახული, რომელმაც 7,5 კილომეტრი 22 წუთსა და 59,2 წამში დაფარა. მეორე ადგილზე გავიდა რუსი სვეტლანა იშჩერატოვა, ხოლო მესამეზე — გერმანელი სიმონე დენკინგერი.

დიდი მწუხარებით შევიტყვეთ გენიალური კალათბურთელისა და ბრწყინვალე პიროვნების, სპორტის დამსახურებული ოსტატის ოთარ ქორქიას გარდაცვალება.

პირადად ჩემი და მოსკოველი ვეტერანი დინამოელების თხოვნით, ღრმა სამძიმარს უცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

ვასილ ეინი (ცსუ-ის კურატორი)

ვეტერანი დინამოელი, მოსკოვი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით ეუწყება, რომ 90 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი

ბაიოზ ჯეჯელავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 18.19.03; გამოსვლება 20.03; 14 სთ. მისაბარძო: კოსტავა, 67.

საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი და ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის

ბაიოზ ჯეჯელავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი და ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ლეგენდარულ კალათბურთელს

ოთარ ქორქიას

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახს.

მნიშვნელოვანი სპორტული გაღაცემები

18 მარტი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. „პროფესიონალი" – ფტმრბოლი (15.30); *HTB плюс футбол.* თავისუფალი დარტყმა (12.00, 16.00, 18.30, 22.50), „გამეული კერძის ჰიტპარადი" (12.20, 16.45, 20.15), ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალებისა და ნახევარფინალების წილისყრა. ლიბერტადორესის თასი. „პალმეირასი" – „სანტო ანდრე" (14.15), „ფეიხოდ მენდიალი" (19.00), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (21.55), გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (23.05), საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (0.05), კალათბერთი. ნბა (3.00, 3.30, 4.30, 5.00, 7.30); *HTB плюс спорт.* ჩოგბურთი. „მასტერს სერიებ" (11.25, 22.30), „სპორტული გლობუსი" (0.30), სპორტული ცქერები, გრან-პრი პროფესიონალები (1.00); EUROSPORT. ავტოსპორტი. მს. ჩემპიონატი (10.30, 11.30), ფიგურული სპორტი (11.45), ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა. მს. თასი (12.00). ფიგურული ციგურაობა. მს. ჩემპიონატები (13.00, 19.00), ფეხბურთი. უეფას თასი. ნეხვიო (17.00, 17.15), ფრისბილიკი. მს. ჩემპიონატი (18.30), ჩოგბურთი. „ატპ"-ს ტურნირი (23.00), ფეხბურთი. 24 საუკუთესო ცალი (0.30, 2.45), ვეროსპორტის ახალი ამბები (1.30).

19 მარტი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. „ფორმულა-1". მალაიზიის დიდი პრიზი (8.00), **რუსთავი 2.** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (18.20); *HTB плюс футбол.* თავისუფალი დარტყმა (12.00, 16.30, 19.30, 0.45), „ფეხბურთ მფლობელი" (12.15), „გამეული კერძის ჰიტ-პარადი" (13.25), ინგლისის ჩემპიონატი. „ლივერპული" – „არსენალი". პირდაპირი (15.40), მინიფეხბურთი: უეფას თასი. მე-2 რაუნდი. რუსეთის „დინამო" — უკრაინის „შახტარი". პირდაპირი (17.55), ესპანეთის „ელ პოსო" — ბელორუსიის „დინამო-ბრესტი". პირდაპირი (20.55), ფიგურული ციგურაობა. მს. თასი (21.35), „ჩემპიონთა ლიგის ყურანალი" (22.50), ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი (23.55), კალათბერთი. ნბა (3.00, 3.30, 6.00, 6.30) — „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" — „საკრამენტო კინგსი". პირდაპირი ტრანსლაცია; *HTB плюс спорт.* ჩოგბურთი. „მასტერს სერიებ" მეოთხედფინალები. (10.25), ფრისბილიკი. მს. თასის ეტაპი ნორვეგიაში და შვეიცარიაში (16.15), სპორტული ტანვარჯიში. მს. თასის ეტაპი. გერმანია (20.10), ფსკერი ხტომა. გრან-პრი. ვაფერი. სინქრონული ხტომები. კოშკი. ფინალები, ქალები — ტრამპლინი. 3 მეტრი. ფინალი (21.10). ბრძოლა წესიერ გარეშე (0.30), პროფესიული კრივი. მენი პაკიაო — ერიკ მორალესი. პირდაპირი აშშ-დან (5.00); EUROSPORT. ზამთრის სპორტი. მს. თასი (10.30, 11.15, 12.00, 17.15, 19.30, 20.00), ფიგურული ციგურაობა — მს. ჩემპიონატები (13.45), საბრძოლო ხელოვნების კლუბი (22.00), ფრისბილიკი. მს. ჩემპიონატები (1.30), ვეროსპორტის ახალი ამბები (2.00, 3.45). ჩოგბურთი. „ატპ"-ს ტურნირი (2.15); *HTB плюс online.* წყალში ხტომა. საერთაშორისო შეჯიბრება (11.55), თხილამურებით რბენა (13.55), ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. „მანჩესტერი იუნაიტედი" — „უელსპემი" (17.55), საფრანგეთის ჩემპიონატი. „სტრასბურგი" — „ლიონი" (21.55).

20 მარტი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. I არხი. „ფორმულა-1". მალაიზიის დიდი პრიზი. ძირითადი ეტაპი (10.00), **იმედი.** ფსკერი. იტალიის ჩემპიონატი. „ინტერი" — „ფიორენტინა" (I ტაიმი — 17.00, II ტაიმი 18.00), „რომა" — „მილანი" (I ტაიმი — 22.30, II ტაიმი — 23.30); **რუსთავი I არხი.** ფიგურული ციგურაობა. მს. ჩემპიონატები და საჩვენებელი გამოსვლები (15.40), კრივი. უძლიერეს პროფესიონალთა ბრძოლა. ბერნარდ ჰოპკინსი — ჰოვარდ ისტჭენი (23.40); *HTB плюс футბოლ.* ინგლისის ჩემპიონატი. „მანჩესტერი იუნაიტედი" — „უელსი" (10.15), თავისუფალი დარტყმა (12.00, 15,15, 20.15, 0.20), გერმანიის ჩემპიონატები (12.20), „მაინცი" — „შალკე". პირდაპირი (19.30), „ჩემპიონთა ლიგის ყურანალი" (14.00), ბოლანდიის ჩემპიონატი. „აიაქსი" — პსვ. პირდაპირი (14.25), ესპანეთის ჩემპიონატი (16.20), მინიფეხბურთი. უეფას თასი. მე-2 რაუნდი. რუსეთის „დინამო" — ბელორუსიის „დოროჟნიკი" (17.55), უკრაინის „შახტარი" — ესპანეთის „ელ პოსო" (21.20), იტალიის ჩემპიონატი. პირდაპირი (22.30), უკრაინის ჩემპიონატი (0.35), კალათბერთი. ნბა (3.00, 5.00, 5.30, 8.00, 8.30); *HTB плюс спорт.* ჩოგბურთი. „მასტერს სერიებ" (10.25, 22.30), „სპორტული გლობუსი" (14.40), პროფესიული კრივი. მენი პაკიაო — ერიკ მორალესი (15.15), სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის ეტაპი. პირდაპირი, გერმანიიდან (17.30), „სამპდორიაო მიმოხილვა" (20.00), წყალში ხტომა. გრან-პრი (20.40); EUROSPORT. ზამთრის სპორტი. მს. თასი (11.00, 12.00, 13.45, 16.00, 17.00, 18.00, 20.30), ფიგურული ციგურაობა (21.30), კრივი. პროფესიონალები (1.00), ვეროსპორტის ახალი ამბები (2.00, 3.15), სუმო. ხასე ბაშე. იაპონია (2.15); *HTB плюс online.* ზამთრის სპორტი. რბენა. მსოფლიო თასის ეტაპი (13.55, 15.10), ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი, პირდაპირი (17.00); ინგლისის ჩემპიონატი. „ლივერპული" — „ეკვერტონი" (19.00); ესპანეთის ჩემპიონატი, პირდაპირი (20.55); საფრანგეთის ჩემპიონატი. „მონაკო" — „მარსელი"; პირდაპირი (22.55).

ჯროსვორდი

თარაზულად: 4. „იუნტერესის" ყოფილი მწვრთნელი, 6. შეფასება ძიუდოში, 8. თურქეთის საფეხბ. კლუბი, 10. ცნობილი ფრანგი ფალავანი, 12. სპორტის სახეობა, დაფაზე ნიშანში პატარა ისრის სროლა, 13. რუსეთი 2-ის სპორტული მიმომხილველი 17. ოლ. თამპეშის (1964) მასპინძელი ქალაქი, 21. თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი, ალექსანდრე... 22. ცნობილი ბელგიელი მოჭიდავე ვაჟი, 24. ფეხბურთელის ჩასაცმელი, 26. თბილისის „დინამოს" ერთერთი ყოფილი კაპიტანი — ფეხბურთელი, 27. ალმასოვლურ ბრძოლაში ოსტატების შეფასების ტერმინი, 28. ლეგენდარული ატლეტმბილი.



ვერტიკალურად: 1. პროფესიონალი მოკრივე, 2. საფრანგეთის საფეხბ. კლუბი, 3. იტალიის საფეხბ. კლუბი, 4. ცნობილი მოკრივის პაპის სახელი, 5. იტალიის საფეხბ. კლუბი, 7. რუსეთის საფეხბ. კლუბი, 9. ჰოკეის „რუსული რაკეტა", 11. შეკიბრება ორ ან რამდენიმე სპორტსმენს, ან გუნდებს შორის, 14. ცნობილი უკრაინელი ვეტერანი ფეხბურთელი, 15. ჩოგბურთელ მესხის სახელი, 16. რბენის ნაირსახეობა, 19. იტვისლავიელი კალათბურთელი, რომლის თასიც თამაშდება, 20. ერთი ხელი თამაში, 23. სპორტი. ორთაბრძოლის სახეობა, 24. მთავარი ფიგურა ჭადრაკში, 25. საფრანგეთის საფეხბ. კლუბი.

მოამზადა ნოდარ ჯაფარიძემ.

ფიცა ნომრის ჯროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. „სოკრი", 4. ილქანი, 7. კანვარო, 8. გეტრი, 10. ჯონი, 11. „ოჩანია", 13. ისა, 16. შეში, 17. ურო, 19. ლოლობრიჯა, 22. ეტლი, 24. პირენეი, 26. ლეკო, 27. რინგი, 28. ჩეკი, 29. ფიფი.

ვერტიკალურად: 1. სოკი, 2. კანიგა, 3. ისარი, 4. იური, 5. ქულიაშვილი, 6. ნაცარი, 9. ალტაშელი, 12. ჯანა, 14. სსუ, 15. დოლი, 18. გეტერი, 20. ღონე, 21. ესცეზი, 23. „ლიონი", 24. პონი, 25. რიჭი, 26. ლი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport@hotmail.com

საჭადრაკო ამოცანა

ჯემალ ვასაძისაძე

(ქ. ზუგდიდი)



შავები 2 სვლით

№18-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1.ქე3!

1. ..... ბფც3 2. ლc5X, 1. ..... ბფც5 2. ლe8X, 1. ..... ბფც5 2. ლh7X.